ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8112660

ნომერი: AR11163379

თარიღი : 30.09.2026

გაცემის თარიღი : 07.10.2026

გაცნობის თარიღი : 07.10.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აკაკი ბაქრაძე , N 16;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა სვანიძე პ/ნ 01003021229
- მარშალ გელოვანის გამზირი4ა. ბინა22.

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 1 დეკემბრის №7724512 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 30 სექტემბერს №AR11163379 განცხადებით მომართა პაატა სვანიძემ და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 1

დეკემბრის №7724512 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 1 დეკემბრის №7724512 ბრძანებით, №01.10.10.025.029 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2026 წლის 6 აგვისტოს №8034985 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2025 წლის 1 დეკემბრის №7724512 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობად დაფიქსირდა 14769.06 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად 9889.97 კვ.მ., კომერციულ ფართობად 779.27 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 2038.11 კვ.მ., კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად 1500.73 კვ.მ., დამხმარე ფართობად 273.49 კვ.მ., ავტოსადგომების ფართობად 54.0 კვ.მ. ხოლო, შეთანხმებული +19.80, +39.60, +42.90, და +46.20 ნიშნულები, ასევე დამხმარე შენობის -3.300, 0.000 და +3.300 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდა 2026 წლის 29 მაისს №AR11145144 განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2025 წლის 1 დეკემბრის №7724512 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, მოთხოვნილია ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად 9889.97 კვ.მ-ის ნაცვლად 9872.7 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 2038.11 კვ.მ-ის ნაცვლად 2031.86 კვ.მ-ის, კვ.მ., კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად 1500.73 კვ.მ-ის ნაცვლად 1581.96 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები და გეგმა-ნახაზები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები, არასწორი დაჯამების გამო. რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გასწორება, გამოიწვევს მთლიანი საპროექტო შენობა-ნაგებობის საერთო ფართობის დაზუსტებასაც და 14769.06 კვ.მ-ის ნაცვლად შეადგენს 14826.77კვ.მ-ს. ამასთან, შეთანხმებული +13.2, +23.10 და +26.4 ნიშნულების გეგმები არ იცვლება, ხდება მხოლოდ აღნიშნული ნიშნულების წარმოდგენილ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 1 დეკემბრის №7724512 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 1 დეკემბრის №7724512 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 9872.7 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 2031.86 კვ.მ., კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად - 1581.96 კვ.მ., საერთო ფართობად - 14826.77კვ.მ.
2. სამსახურის 2025 წლის 1 დეკემბრის №7724512 ბრძანებით შეთანხმებული +13.2, +23.10 და +26.4 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 1 დეკემბრის №7724512 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 1 დეკემბრის №7724512 და 2026 წლის 6 აგვისტოს №8034985 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.